

**მუჰაჯირობა, როგორც აფხაზური ნაციონალური ტრავმა და
ნაციონალიზმის საფუძველი**

ლაშა ჯაიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ემზარ ჯგერენაია, სოციოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლაშა ჯაიანი

27.06.2016

აბსტრაქტი

ჩემი თემის ფარგლებში ვეცდები ვაჩვენო, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მიზეზები 1990-იანი წლების შეიარაღებულ დაპირისპირებებამდე გაცილებით უფრო ადრე, XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთ-თურქეთის ომის შემდგომ განვითარებული პროცესებიდან იღებს სათავეს. გადასახლების რამდენიმე ტალღამ, რომელიც „აფხაზთა მუჰაჯირობის“ სახელითაა ცნობილი, საზიარო ტრავმა მიაყენა აფხაზებს და ბიძგი მისცა აფხაზური ნაციონალიზმის წარმოშობასა და ფორმირებას. აფხაზებისგან დაცლილი ტერიტორიები ცარისტული პოლიტიკის ხელშეწყობით სხვა ეთნოსების ათვისების წყაროდ იქცა, რამაც ეთნიკურად აფხაზ მოსახლეობაში საფრთხისა და დაუცველობის შეგრძნება წარმოშვა. ამას თან დაერთო ქართველი ინტელექტუალების მცდელობა, აფხაზეთში ჩაესახლებინათ ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა, მეტწილად მეგრელები. ამ პროცესების შედეგად აფხაზებმა თავიანთ მთავარ საფრთხედ მიიჩნიეს არა „მუჰაჯირობის“ ინიციატორი და განმახორციელებელი რუსები, არამედ ქართველები, რომლებიც მათი შეფასებით აფხაზეთში იმპერიალისტური პოლიტიკის გატარებით იყვნენ დაინტერესებულნი.

თემაში ნაჩვენები იქნება ნაციონალიზმის თეორიების შესაბამისობა მუჰაჯირობის შემდგომ განვითარებულ პროცესებთან. ნაციონალიზმის თეორიებზე დაყრდნობით გამოვყოფ ნაციონალური იდენტობის მარკერებს, რომლებმაც აფხაზური ნაციონალიზმის წარმოშობაში დიდი როლი ითამაშა. თანამედროვე აფხაზური ნარატივის განხილვისას ნაჩვენები იქნება, თუ რა როლი აქვს „მუჰაჯირობას“ აწმყო პერსპექტივიდან რეკონსტრუირებულ წარსულში, რა გავლენას ახდენს აფხაზთა კოლექტიურ მეხსიერებაზე და ასრულებს თუ არა იგი ერის შემკავშირებელი მითის ფუნქციას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: აფხაზეთი, მუჰაჯირობა, ნაციონალიზმი

Abstract

In the presented thesis I would like to emphasize that the grounds for Georgian-Abkhazian conflict stems from far behind the armed hostilities of 90's, back to the processes developed after Russian-Turkish war in II half of XIX century. Several waves of forcible displacement known as Abkhazian 'muhajir plight' has caused a shared trauma to Abkhaz people and pushed the origin and formation of Abkhazian nationalism. Territories vacated by Abkhazians under the facilitation of Russian Tsarism policy, became the source of digestion for representatives of other ethnicities that instilled the sense of danger and insecurity. This was accompanied by effort of some Georgian intellectuals' to resettle Georgian population, mostly Megrelians, to Abkhazia. In result of these processes Abkhazians considered as a primary danger not Russians - initiators and conductors of the deportation of Abkhazians, but Georgians, who, in their opinion, were interested in undertaking imperialistic policy in Abkhazia.

The thesis will present compatibility of nationalism theories with processes developed after the abovementioned 'muhajir plight'. Based on nationalism theories, I will outline national identity markers, which had played significant role in origination of Abkhazian nationalism. The review of modern Abkhazian narrative will ascertain the role of 'muhajir' displacement from the present perspective in the reconstructed past, if it has any influence on collective Abkhaz memory and does it play a function of nation cohesive myth.

Key words: Abkhazia, Muhajir plight, Nationalism

მადლობა

მადლობას ვუხდით თემის ხელმძღვანელს, ემზარ ჯგერენაიას, რომელმაც მირჩია ამ საკითხის შესწავლა და ყველანაირად დამეხმარა ამ ამოცანის შესრულებაში.

ასევე მადლობას ვუხდით ელენე გავაშელიშვილსა და ზაზა ვაჭრიძეს, რომლებიც მუდმივად მგულშემატკივრობდნენ.